IBAO
International Behavior Analysis Organization
Ethics, Education, Confidence

საერთაშორისო ქცევის თერაპევტი (IBT)

მოთხოვნები

მთარგმნელები:
მადონა ბონი, MS, BCBA, LBA, IBA
ეკატერინე ციგანოვა, IBT
გვანცა ჩვამანია, MA, IBA

საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსთა ორგანიზაცია
2021 V100

მოთხოვნები საერთაშორისო ქცევის თერაპევტის სერტიფიცირებისთვის

01

საერთაშორისო ქცევის თერაპევტის (IBT) სერტიფიკატის მიღება შეუძლია პირს, რომელიც ქცევის ანალიტიკოსის სუპერვიზიით მუშაობს და რუტინულად/უწყვეტად ახორციელებს ქცევის ანალიზზე დაფუძნებულ პრაქტიკულ საქმიანობას.

გახსენით გვერდი www.theibao.com და შექმენით თქვენი ანგარიში. დარეგისტრირდით გამოცდაზე და გადაიხადეთ საფასური



გაიარეთ 40 საათანი IBT ტრენინგი

შეაგროვეთ სუპერვიზიით მუშაობის გამოცდილების 300 საათი

კანდიდატის უნართა ტესტირება



ჩააბარეთ IBT გამოცდა

მოთხოვნები საერთაშორისო ქცევის თერაპევტის სერტიფიცირებისთვის

02

საშუალო სკოლის ატესტატი
(or Regional Equivalent)
დარეგისტრირდით IBAO გვერდზე, გადაიხადეთ საფასური, გაეცანით და დაეთანხმეთ პროფესიურლი ეთიკის დოკუმენტს;

გაიარეთ 40 საათიანი IBT კურსი

აირჩიეთ სუპერვიზორი და მოაწერეთ სუპერვიზიის თანხმობის ფორმას ხელი

გაიარეთ კანდიდატის უნარების ტესტირება

გაიარეთ უწყვეტი განათლების 4 ერთეული (CEUs)

შეაგროვეთ სუპერვიზიით მუშაობის გამოცდილების 300 საათი

შეაგროვე 10 საათი სუპერვიზია

ჩააბარეთ IBT გამოცდა

40 საათიანი IBT ტრენინგი

03

40 საათიანი IBT ტრენინგი აუცილებელია IBT გამოცდის ჩასაბარებლად. IBT ტრენინგი უნდა მოიცავდეს ქცევის გამოყენებითი ანალიზის შესახებ საბაზისო ცოდნასა და თერაპევტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ თემებს, რომელიც აუცილებელია სერტიფიცირებული IBT საქმიანობის დასაწყებად.
ტრენინგი თემები:

- განვითარების დარღვევები
- ქცევის ანალიზის საფუძლეველები
- მონაცემეთა შეგროვება
- შეფასების პროცუდერუბის დროს ასისტირება
- ახალ უნართა სწავლება
- რთული ქცევის მართვა
- პროფესიული ქცევა

დეტალები საბაზისო კურსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ IBAO- ს ვებ გვერდზე. (ჩამოტვირთეთ დოკუმენტები: IBT სასწავლო და საგამოცდო საკითხები და სასწავლო და საგამოცდო საკითხები გაფართოებული ვერსია

თუ თქვენ რამდენიმე პროვაიდერთან სხვადასხვა მოკლე ტრენინგი გაქვთ გავლილი და გსურთ ჩაგეთვალოთ გამოცდაზე დაშვების წინაპირობად, დაგჭირდებათ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც დაადასტურებს, რომ სავალდებულო თეორიული მასალის ყველა კომპონენტი გავლილი გაქვთ. ასეთ შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ გავლილი კურსები არ იყოს სრულყოფილი და არ ჩაგეთვალოთ, ამიტომ უმჯობესია ერთ პროვაიდერთან გაიაროთ საბაზისო 40 საათიანი ტრენინი.

ტრეინინგის ხანგრძლოვობა დამოკიდებულია პროვაიდერზე. 40 საკონტაქტო საათი სხვადასხვა პროვაიდერს განსხვავებულად აქვთ გადანაწილებული და ტრენინგის ხანგრძლივობა 1-დან 10 კვირამდე მერყეობს.

ტრეინიგის დასრულების შემდეგ კანდიდატმა უნდა ატვირთოს ტრეინიგის წარმატებით გავლის დამადასტურებელი საბუთი IBAO-ს ანგარიშზე.



სუპერვიზორის მოთხოვნები

04

ქცევის ანალიტიკოსებს, რომლებიც ახორციელებენ სუპერვიზიას მნიშვნელოვანი როლი აქვთ ქცევის გამოყენებითი ანალიზის გავრცელებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ინტენსიური მეთვალყურეობით, ეთიკური პრინციპების დაცვითა და გამოცდილების გაზიარებით სუპერვიზორი ეხმარება IBT-ს პროფესიული უნარების განვითარებაში.

IBAO ითვალისწინებს იმას, რომ ქცევის გამოყენებითი ანალიზი სხვდასხვა ქვეყანაში განსხვავებული ტემპით ვითარდება, ამიტომ მოქნილ და ფართო სპექტრის შესაძლებლობას სთავაზობს სუპერვიზორობის კანდიდატებს.

სპეციფიური მოთხოვნები

სუპერვიზორის კვალიფიკაციის შემოწმება ჩატარდება კანდიდატების **10%**-ში, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ სუპერიზორებს **IBAO** მოსთხოვს კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას.

საერთაშორისო ქცევის თერაპევტის სუპერვიზორი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ პირობას:

1. აქვს მოქმედი საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის (IBA) სერტიფიკატი;
2. სხვა მასერტიფიცირებელი საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსია და აქვს მოქმედი სერტიფიკატი (მაგ., BCBA, BCBA-D, QABA);
3. ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს ABAI აკრედიტირებული პროგრამებიდან;
4. ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს მომიჯნავე სფეროში და გავლილი აქვს საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსისათვის სავალდებულო სასწავლო დავალებათა ნუსხა;
5. ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს და აქვს სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროში სუპერვიზორად მუშაობის (ასეთ შემთხვევაში კანდიდატი შემოწმებულია და მისი კომპეტენცია აღიარებულია ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) მიერ)

საერთაშორისო ქცევის თერაპევტის სუპერვიზიის ხელშეკრულება

IBAO
International Behavior Analysis Organization

თარიღი _____

ხელშეკრულება ასახავს IBT კანდიდატსა _____ და სუპერვიზორს _____ შორის ურთიერთობებს, მოვალეობებსა და მოლოდინებს.

სუპერვიზია IBT კანდიდატისთვის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია IBT სერტიფიცირებისთვის. სუპერვიზიის დროს კანდიდატს ეძლევა 40 საათიანი ტრეინინგის დროს ნასწავლი უნარების პრაკტიკაში გამოყენების საშუალება.

პრაქტიკული საათები შეადგენს 300 საათს, საიდანაც ყოველ 30 საათში 1 საათი უნდა ჩატარდეს სუპერვიზორთან ერთად. პირდაპირი სუპერვიზიით ჩატარებული საათების საერთო რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 10 საათისა. 300 საათიანი სუპერვიზია შესაძლებელია გადანაწილდეს 10 კვირიდან 24 თვემდე დროის მონაკვეთში.

კანდიდატები, რომლებსაც სჭირდებათ რეგისტრაციის შემდეგ 24 თვეზე მეტი 300 საათიის შესაგროვებლად აუცილებლად უნდა დაუკავშირდნენ IBAO-ს.

ხელშეკრულება ძალაშია _____ დან _____ მდე.

სუპერვიზიის საათები ჩატარებულად ჩაითვლება, მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. სუპერვიზორსა და კანდიდატს შორის ურთიერთობის ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს IBAO-ს, რათა ჩატარებული საათები ჩაითვალოს.

სუპერვიზორები უნდა აკმაყოფილებდნენ IBAO-ს სუპერვიზორის მოთხოვნებს.

სუპერვიზორებმა და კანდიდატებმა უნდა აწარმოონ პრაქტიკა, მომსახურება და სუპერვიზია IBAO-ს ეთიკური სახელმძღვანელოს მიხედვით. სუპერვიზორის კვალიფიკაციის შემოწმება ჩატარდება კანდიდატების 10%-ში. სუპერვიზორი თანხმაა წარადგინოს თავისი გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, რათა დაამტკიცოს, რომ აკმაყოფილებს სუპერვიზორის მოთხოვნას.

გამოცდილების სფერო:
კანდიდატი ჩაერთვება ქცევის გამოგენებითი ანალიზით განხორციელებულ სერვისში, შეასრულებს სუპერვიზორის დავალებებს და პრაქტიკაში გამოიყენებს იმ უნარებს, რომელიც 40 საათიანი ტრენინგის დროს შეიძინა. სუპერვიზია შეიძლება ჩატარდეს პირადად ან დისტანციურად; ინდივიდუალური ან ჯგუფური სესიების დროს.

საერთაშორისო ქცევის თერაპევტის სუპერვიზიის ხელშეკრულება

IBAO
International Behavior Analysis Organization

მოთხოვნები:

კანტიდატი თანახმაა იქონიოს სუპერვიზიით განხორციელებული პრაქტიკის შესახებ ჩანაწერი.

სუპერვიზორი თანახმაა მოაწეროს ხელი იმ საათებზე, რომელებიც სათანადოდ არის შესრულებულია ქცევის გამოყენებითი ანალიზით მუშაობისას.

სუპერვიზორი და კანდიდატი თანახმანი არიან ატვირთონ სუპერვიზიის დოკუმენტაცია ყოველი შეხვედრის დასრულების შემდეგ.

სუპერვიზორი ირჩევს ორ უნარს და თითოეულს შეაფასებს კანდიდატის უნართა ტესტირების მეშვეობით. სუპერვიზორი ატვირთავს კანდიდატის უნარების ტესტირების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმატებული ტესტირების შემდეგ.

არსებული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს ორივე მხარის მიერ. ხელშეკრულების შეწყვეტის გამო პრაქტიკული საათების დაგროვბეას ხელი არ უნდა შეეშალოს, კანდიდატს შეუძლია პრაქტიკული საათების შეგროვება სხვა სუპერვიზორთან განაგრძოს.

სუპერვიზორთან მონაცემების და კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარებისთვის, კანდიდატი
ვალდებულია მოიპოვოს კლიენტის ინფორმირებული თანხმობა.

სუპერვიზიის პერიოდში კანდიდატის მიერ ჩატარებული თერაპიებზე პასუხისმგებლობას იღებს სუპერვიზორი. სუპერვიზორი პასუხისმგებელია: კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე, შემთხვევის მართვასა და შედეგზე. ორივე მხარე თანხმდება, რომ IBAO არ არის პასუხისმგებელი
უსიამოვნო და უარყოფით სიტუაციებზე, რომელიც წარმოიშვა მომასახურების გაწევისას და სუპერვიზიის პროცესის დროს.

ორივე მხარე ეთანხმება დოკუმენტით გათვალისწინებულ პირობებს და წარმართავს საქმიანობას IBAO-ს ეთიკური პრინციპების შესაბამისად.

კანდიდატის ხელმოწერა _____

კანდიდატის სახელი და გვარი _____

კანდიდატის Email _____

სუპერვიზორის ხელმოწერა _____

სუპერვიზორის სახელი და გვარი _____

სუპერვიზიის მოთხოვნები

07

სუპერვიზიის დაწყებამდე კანდიდატმა და სუპერვიზორმა უნდა მოაწერონ ხელი სუპერვიზიის ხელშეკრულებას. როგორც კი ხელშეკრულება ხელმოწერილია კანდიდატს შეუძლია დაიწყოს სუპერვიზიის საათების შეგროვება.

სუპერვიზიით მუშაობის გამოცდილების დაგროვება

იმისათვის, რომ კანდიდატმა მოიპოვოს გამოცდაზე დაშვების უფლება აუცილებელია, სულ მცირე, 300 პრაქტიკული საათის შეგროვება, საიდანაც ყოველ 30 საათზე 1 საათი გულისხმობს პირდაპირ სუპერვიზიას. კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში 10 პირდაპირი სუპერვიზიის საათი. პირდაპირი სუპერვიზიის საათების რაოდენობა შეზღუდული არ არის და ნებადართულია, რომ სუპერვიზიის საათების 100% პირდაპირი სუპერვიზიით შეგროვდეს, კანდიდატის მიერ უშუალოდ სერვისის მიწოდების პროცესში.

აუცილებელია ყოველ 30 ნამუშევარ საათზე ერთი საათი სუპერვიზორის უშუალო ჩართულობით ჩატარდეს, ამავდროულად ნებადართულია 30 საათიდან ნებისმიერი იყოს პირდაპირი სუპერვიზიის საათი. მაგ: პირველი 30 ნამუშევარი საათიდან, სულ მცირე ერთი ნებისმიერი საათი სუპერვიზიით (პირველიდან ან მეცხრე ან ოცდამეხუთე და ა.შ.); მეორე 30 საათი, სულ მცირე ერთი სუპერვიზია (31-ე დან მე-60-ეს ჩათვლით); და ა.შ. (61-90; 91-120; 121-150).

30 პრაქტიკული საათის გადანაწილება შესაძლებელია 1, 2 ან მეტ კვირაზე. იმის და მიუხედავად თუ რა პერიოდზეა გადანაწილებული ეს საათები, ყოველ 30 საათში 1 საათი უნდა ეთმობოდეს პირდაპირ სუპერვიზიას. დასაშვებია 30 საათში ჩატარდეს ნებისმიერი რაოდენობის პირდაპირი სუპერვიზია, თუმცა 30 საათში ერთზე მეტი პირდაპირი სუპერვიზიის საათის ჩატარება არ დააჩქარებს იმ 10 პირდაპირი სუპერვიზიის საათის დაგროვებას, რომლის მიხედვითაც გამოცდაზე დაიშვება კანდიდატი.

დასაშვებია სუპერვიზიის საათები შეგროვდეს სრულად დისტანციურად.

კანდიდატს შეუძლია არ დაელოდოს 40 საათიანი თეორიული ტრენინგის დასრულებას და სუპერვიზიის საათების შეგროვება დაიწყოს ტრენინგის პარალელურად, თუმცა აუცილებელია სუპერვიზიის დაწყებამდე ორივე მხარემ ხელი მოაწეროს სუპერვიზიის ხელშეკრულებას, რადგან მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ ჩატარებული საათები ჩაითვლება ვალიდურად.

სუპერვიზიის 10 საათიდან სულ მცირე 5 საათი (50%) აუცილებლად გულისხმობს ინდივიდუალურ სუპერვიზიას. ნებადართულია კანდიდატს მიეწოდოს სუპერვიზიის საათების 50% ჯგუფურად - მცირე ჯგუფში, რომელიც შედგება არაუმეტეს 5 კანდიდატისგან.

პრაქტიკა სუპერვიზიით

ჯგუფური სუპერვიზია მისაღები იქნება არაუმეტეს 5 საათი (50%) სუპერვიზიის 10 საათიდან

ჯგუფური სუპერვიზია ნებადართულია მცირე ჯგუფში, რომელიც შედგება არაუმეტეს 5 კანდიდატისგან.

კანდიდატს შეუძლია ყავდეს რამდენიმე სუპერვიზორი, ასეთ შემთხვევაში:

- ყველა სუპერვიზორი უნდა იყოს დარეგისტრირებული და აკმაყოფილებდეს IBAO- სუპერვიზორის მოთხოვნებს.
- სუპერვიზიის საათების დაწყებამდე ყველა სუპერვიზორთან უნდა იყოს გაფორმებული სუპერვიზიის ხელშეკრულება.
- სუპერვიზორებს აქვთ უფლება შეწყვიტონ კანდიდატთან თანამშრომლობა IBAO-ს ეთიკური პრინციპების დარღვევის შემთხვევაში.

დოკუმენტაცია

სუპერვიზორი და კანდიდატი ვალდებულები არიან აწარმოონ დოკუმენტაცია ყოველი სუპერვიზიული შეხვედრის შემდეგ (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის შეხვედრა: ინდივიდუალური, ჯგუფური, პირისპირ და დისტანციური). სუპერვიზიის დოკუმენტი ივსება ონლაინ, IBAO-ს ვებ. გვერდის მეშვეობით.

კანდიდატი შედის თავის პირად ანგარიშზე და ავსებს სუპერვიზიის დოკუმენტს, IBAO სუპერვიზორს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რის შემდეგაც სუპერვიზორიც შეავსებს დოკუმენტს IBAO- ს ანგარიშის მეშვეობით. დასრულებულ და ხელმოწერილ სუპერვიზიის დოკუმენტზე ორივე მხარეს აქვს წვდომა საკუთარი ანგარიშიდან.

სუპერვიზიისი დოკუმენტის აუცილებელი კომპონენტების ჩამონათვალი:

- სუპერვიზიის შეხვედრის თარიღი;
- თერაპიული გარემო;
- სუპერვიზიის პერიოდის დაწყების თარიღი;
- სუპერვიზიის პერიოდის დასრულების თარიღი;
- მიმდინარე პერიოდში პრაქტიკული საათების (არაპირდაპირი) საერთო რაოდენობა;
- მიმდინარე პერიოდში სუპერვიზორთან ერთად ჩატარებული (პირდაპირი) საათების საერთო რაოდენობა;
- შესრულებული საათების საერთო რაოდენობა;
- სუპერვიზიის მეთოდი;
- სუპერვიზიის ტიპი (ინდივიდუალური, ჯგუფური, ა.შ)
- სუპერვიზიის ჩანაწერი;
- უკუკავშირი;

IBT სუპერვიზიის ფორმა

IBAO
International Behavior Analysis Organization

თარიღი _____

თერაპიული გარემო _____

კანდიდატი _____

სუპერვიზორი _____

სუპერვიზიის პერიოდის დაწყების თარიღი _____

სუპერვიზიის პერიოდის დამთავრების თარიღი_____

მოცემულ პერიოდში არაპირდაპირი სუპერვიზიის რაოდენობა _____ სთ

მოცემულ პერიოდში პირდაპირი სუპერვიზიის რაოდენობა_____ სთ

სუპერვიის ტიპი (შემოხაზეთ ერთერთი) ჯგუფური ინდივიდუალური

სუპერვიიზიის მეთოდი (შემოხაზეთ ერთერთი) პირდაპირი დაკვირვება; ვიდეოს განხილვა; შეხვედრა;

სუპერვიზიის ჩანაწერი _____

_____

_____

უკუკავშირი _____

_____

_____

ხელმოწერა _____

კანდიდატის უნართა ტესტირება

სუპერვიზიის გაწევის პერიოდში სუპერვიზორმა უნდა ჩაატაროს კანდიდატის უნართა ტესტირება 2 სხვადასხვა უნარზე, რომელთა ათვისების საშუალებაც ეძლეოდა მოცემული პერიოდის განმავლობაში კანდიდატს. უნართა ტესტირებისთვის სამიზნე უნარის არჩევა ინდივიდუალურად განისაზღვრება და შესაძლოა სხვადასხვა კანდიდატისთვის განსხვავებული უნარები შეირჩეს დასატესტად. წინასწარ არ არის განსაზღვრული სუპერვიზიის პროცესში დასწავლილი, რომელი უნარები შეირჩევა ტესტირებისათვის. სუპერვიზორს შეუძლია ტესტირებვისთვის შეარჩიოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც კანდიდატმა 40 საათიანი ტრეინინგის დროს თეორიულად გაიარა და შემდგომში ამ უნარზე სუპერვიზიით მუშაობის გამოცდილება მიიღო, მაგალითად: მონაცემთა შეგროვება, ცალკეული ცდებით სწავლა, ფუნქციური უნარების სწავლება, განმამტკიცებლის გამოყენება, გრაფიკების შევსება, მეტყველების სწავლების პროცედურები და ა.შ.

სუპერვიზორი პასუხსმგებელია კანდიდატის უნარების შეფასებისთვის სპეციალური ფორმა შექმნას, რომელსაც შეფასების პროცესში გამოიყენებს. კანდიდატის უნარების ტესტირებისას:

- შესაფასებელი უნარი მოიცავს სულ მცირე 10 კომპონენტს
- უნარის შეფასების პროცესი გრძელდება მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში
- უნარი უნდა განხორციელდეს სულ მცირე 80 % სიზუსტით
- კანდიდატის უნართა ტესტირება უნდა ჩატარდეს მინიმუმ ორჯერ და უნდა შეფასდეს ერთმანეთისაგან განსხვავებული უნარები
- კანდიდატის უნართა ტესტირება არის პირდაპირი პროცესი, რომლის დროსაც ფასდება კანდიდატის მზაობა განახორციელოს თერაპიული სერვისები. სუპერვიზორი თვალს ადევნებს კანდიდატის მიერ ჩატარებულ თერაპიას და აფასებს ტესტირებისათვის შერჩეული უნარის გამოყენების სიზუსტეს.

ტესტირების პროცედურა შესალებელია ჩატარდეს: პირისპირ, დისტანციურად, ვიდეო ჩანაწერით.

რა უნდა გაითვალისწინოს სუპერვიზორმა კანდიდატის უნართა ტესტირებისას:

CST მონაცემთა შეგროვების ფურცლის შესაქმნელად, მიჰყევით ამ ნაბიჯებს:

- აარჩიეთ შეფასებისთვის სამიზნე უნარი
- გააკეთეთ შერჩეული უნარის ამოცანის ანალიზი
- შექმენით სულ მცირე 10 ქულიანი სისტემა უნარის შესაფასებლად
- შექმენით შეფასების სქემა (კი/არა; +/- და ა.შ)
- შეაფასეთ კანდიდატი შერჩეულ უნარზე მუშაობის დროს

სუპერვიზორი ვალდებულია ატვირთოს კანდიდატის უნართა ტესტირების ფორმა თავის ანგარიშზე.

კანდიდატის უნართა შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების ნიმუში

თარიღი _____ კანდიდატი _____ სუპერვიზორი _____

დაწყების დრო _____ დამთავრების დრო _____ ხანგრძლივობა _____

	ცდა 1	ცდა 2	ცდა 3	ცდ ა 4	ცდ ა 5
მასალები ორგანიზებულია	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
იქცევს მოსწავლის ყურადღებას	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აწვდის Sd -ს	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
ელოდება 5 წამი მოსწავლის რეაქციას	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
განამტკიცებს სწორ პასუხებს	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აწვდის Sd და შემდეგ დახმარებას, თუ პასუხი არასწორია	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აწესრიგებს მასალას	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აგროვებს მონაცემებს	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
ემზადება შემდეგი ცდისთვის	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
მართავს ქცევას ცდებს შორის	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
	/10	/10	/10	/10	/10

ამ მაგალითში, სუპერვიზორი აფასებს ცალკეული ცდებით სწავლების უნარს. უნარი 10 სხვადასხვა კომპონენტად არის წარმოდგენილი და ფასდება 5 ცდის განმავლობაში. კანდიდატი იყენებს ცალკეული ცდებით სწავლებას კლიენტთან, ამ დროს სუპერვიზორი აკვირდება და აფასებს კანდიდატის მიერ განხორციელებული პროცედურის სიზუსტეს. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ეს შაბლონი მხოლოდ ვიზუალური მაგალითისთვის არის მოცემული. თვითოელი კანდიდატის უნარების ტესტირების ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 10 წუთი.

კანდიდატის უნართა ტესტირების ფორმა

IBAO
International Behavior Analysis Organization

თარიღი _____ კანდიდატი _____

სუპერვიზორი _____

კანდიდატის უნართა ტესტირების აღწერა _____

_____

_____

_____

_____

_____

კანდიდატის ხელმოწერა _____

სუპერვიზორის ხელმოწერა _____

ფორმა ივსება ყოველ ტესტირებაზე. აუცილებელია სულ მცირე ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული უნარის ტესტირება. სუპერვიზორი ვალდებულია დაგეგმოს, ჩაატაროს და შეაფასოს კანდიდატის უნართა ტესტირება. სუპერვიზორი ვალდებულია ატვირთოს შევსებული ფორმა IBAO-ს ანგარიშზე. უნდა აიტვირთოს მხოლოდ იმ ტესტირების შედეგები, რომელიც სუპერვიზორმა დამაკმაყოფილებლად ჩაუთვალა კანდიდატს. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შედეგი ტესტირებისას, ფორმის ატვირთვა საჭირო არ არის. კანდიდატს შეუძლია შეუზღუდავი რაოდენობით ტესტირება გაიაროს სასურველი შედეგის მიღწევამდე (მოეთხოვება, სულ მცირე, ორ სხვადასხვა უნარში წარმატებული ტესტირება).

უწყვეტი განათლება (CEU)

IBT სერტიფიცირებისთვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია უწყვეტი განათლება (CEU) და პროფესიული განვითარება, ამიტომ სერტიფიცირებამდე (გამოცდაზე დაშვებამდე) აუცილებელია კანდიდატმა წარადგინოს უწყვეტი განათლების დამადასტურებელი საბუთი- 4 CEU საათი.

კანდიდატს მოეთხოვება წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც ნათლად ასახავს სასწავლო ღონისძიების შინაარსს, ხანგრძლივობასა და ჩატარების დროს. მისაღებია უწყვეტი განათლების შემდეგი ტიპები:

- ქცევის გამოყენებით ანალიზთან დაკავშირებულ ტრენინგში, ვებინარსა ან სემინარში მონაწილეობა.
- ქცევის გამოყენებით ანალიზთან დაკავშირებული ტრენინგის, ვებინარის ან სემინარის წაყვანა.

სერტიფიცირების წინ უწყვეტი განათლება:

- 4 საათიანი უწყვეტი განათლების ერთეული (CEU):
- 1 საათი ეთიკა
- 1 საათი კულტურული მრავალფეროვნება და ინფორმირებულობა
- 2 საათი ABA თემები

IBT ონლაინ გამოცდა

როდესაც IBT კანდიდატები დააკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და გაიარონ IBT ონლაინ გამოცდა.მოთხოვნები IBT გამოცდისთვის შეიქმნა იმისთვის, რომ მთელს მსოფლიოში ხალხს საშუალება მისცენ აჩვენონ თავიანთი კომპეტენცია.

- არ არის საჭირო სატესტო ცენტრები
- არ არის საჭირო მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში
- არ არის სასტუმროში ღამისთევა ან დამატებითი ხარჯები
- გამოცდის ჩასაბარებლად საჭიროა მშვიდი, მკაცრად კონტროლირებული სამუშაო ადგილი და უწყვეტი კავშირი ინტერნეტთან.
- გამოცდის ზედამხედველობა მიმდინარეობს ონლაინ.



IBT გამოცდის დეტალები:

- ონლაინ გამოცდა საგამოცდო ცენტრში მისვლის გარეშე.
- ონლაინ და ვირტუალური ზედამხედველობა
- 75 დახურული ტესტური დავალება
- 2 საათი გამოცდის ჩასაბარებლად
- თემები: განვითარების დარღვევები, ქცევის ანალიზის საფუძლეველები, მონაცემეთა შეგროვება, შეფასების პროცუდერუბის დროს ასისტირება, ახალ უნართა სწავლება, რთული ქცევის მართვა, პროფესიული ქცევა

IBT თერაპევტად სერტიფიცირების შემდეგ, უნდა შეასრულოთ რამდენიმე მოთხოვნა სერტიფიკატის შენარჩუნებისთვის. IBT სერტიფიკატი ძალაშია 2 წელი. ყოველ 2 წელიწადში საჭიროა ხელახალი სერტიფიცირების გავლა, რათა შეინარჩუნოდ სერტიფიკატი.

სერტიფიკატის შენარჩუნებისათვის:

- 8 **საათი უწყვეტი განათლების ერთეული** (CEU) (4 **ერთეული ყოველ წელს**)
  - 2 საათი ეთიკა (1 ერთეული ყოველ წელს);
  - 2 საათი კულტურული მრავალფეროვნება და ინფორმირებულობა (1 ერთეული ყოველ წელს);
  - 4 საათი ABA თემები (2 წლის განმავლობაში);
- **უწყვეტი სუპერვიზია ქცევის ანალიზით საქმიანობისას**

მისაღებია უწყვეტი განათლების შემდეგი ტიპები:

თითეულ IBT-ს დასჭირდება მოპოვებული CEU-ების შესახებ დოკუმენტაციის ატვირთვა. ატვირთული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს უწყვეტი განათლების აქტივობის შესახებ ისეთ ინფორმაციას, როგოიცაა მაგალიტად: ტრენინგის სერტიფიკატი ან სხვა ფიზიკური დოკუმენტი, რომელიც ნათლად ასახავს სასწავლო აქტივობის შინაარსა და ხანგრძლივობას.

- მონაწილეობა ინდივიდუალურ ან ონლაინ სემინარებში, ვებინარებსა და/ან ტრეინინგებში ABA ან ქცევის ანალიზთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

- ABA ან ქცევის ანალიზთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე სემინარის, ვებინარების ან ტრეინინგის წარდგენა.

უწყვეტი სუპერვიზია ქცევის ანალიზით საქმიანობისას

- ყველა IBT-ს საქმიანობას მეთვალყურეობს კვალიფიციური სუპერვიზორი;
- სუპერვიზია შეიძლება იყოს პირისპირ ან დისტანციურად; ინდივიდუალურად ან ჯგუფურად; 100% პირდაპირი სუპერვიზია;
- IBT-ს სუპერვიზორი უნდა იყოს დარეგისტრირებული IBAO-ს გვერდზე და აკმაყოფილებზეს IBAO-ს ყველა მოთხოვნას;
- დასაშვებია რამდენიმე სუპერვაიზერთან ერთდროულად მუშაობა;
- აუცილებელია სუპერვიზიის დოკუმენტაციის ატვირთვა ყოველი სუპერვიზიის დასრულების შემდეგ. დოკუმენტაციის ფორმა, იგივეა რაც სერტიფიცირებამდე;

IBAO-სთვის აუცილებელია ყოველ 40 პრაქტიკულ საათში სულ მცირე 1 საათი სუპერვაიზერთან ერთად ჩატარდეს (პირდაპირი სუპერვიზია).

თუმცა საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, უმჯობესია სუპერვიზია ერთ საათზე მეტი ინტენსიურობით ტარდებოდეს. IBT შეიძლება დასჭირდეს სუპერვიზია ყოველ 4-5 საათში ერთხელ, როდესაც ის სწავლობს ახალ უნარ-ჩვევებს, მუშაობს ახალ ან/და რთულ შემთხვევაზე ან ახალ სერტიფიცირებულია. 40/1 სუპერვიზია არის მინიმუმი და სასურველია სუპერვიზიის ინტენსიობა განისაზღვროს სუპერვიზორის მიერ ინდივიდუალურად, კონტექსტიდან გამომდინარე.